რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე

№407/თ

„14“ ივლისი, 2022 წელი
ქ. რუსთავი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

რუსთავის საქალაქო სასამართლოში განსახილველ საქმეებზე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ჩასატარებლად ორგანიზაციული საკითხების განსაზღვრის შესახებ

ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატებისთვის კითხვარებისა და უწყებების ჩაბარების გაადვილებისა და მათთან ეფექტიანი კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად, საორგანიზაციო საკითხების და ცალკეულ მოხელეთა მოვალეობების განსაზღვრის მიზნით, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ და „თ“ ქვეპუნქტების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატებისთვის კითხვარების და უწყებების ჩაბარების გაადვილების და მათთან ეფექტიანი კომუნიკაციის უზრუნველსაყოფად, შეიქმნას საორგანიზაციო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

   - სასამართლოს მენეჯერი - *გურამ კორკოტაშვილი;*
   - კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღები განყოფილების უფროსი - *მაია იასეშვილი;*
   - მთავარი კონსულტანტი, მოსამართლის თანაშემწე - *ელენე ომიაძე;*
   - მთავარი კონსულტანტი, მოსამართლის თანაშემწე - *თეა ირემაშვილი;*
   - მოსამართლის თანაშემწე - *გიორგი ძინძიბაძე;*
   - მოსამართლის თანაშემწე - *მარიამ ტაბატაძე;*
   - მოსამართლის თანაშემწე - *ეკატერინე ბერიძე;*
   - მოსამართლის თანაშემწე - *ნინო ლომსიანიძე;*
   - მოსამართლის თანაშემწე - *გუნა მოსიაშვილი;*
   - მოსამართლის თანაშემწე - *ნათია კანთელაძე;*
   - მოსამართლის თანაშემწე - *ცოტნე მატუა;*
   - მოსამართლის თანაშემწე - *თეონა გუმბერიძე;*

- მოსამართლის თანაშემწე - *თამარ ჩიქოვანი;*
- მოსამართლის თანაშემწე - *ნატო ძლიერიშვილი;*
- სპეციალისტი ნაფიც მსაჯულთა საორგანიზაციო საკითხებში - *სერგო ლორთქიფანიძე;*
- კონსულტანტი სასამართლო მედიაციის საკითხებში - *მარიამ ქურციკიძე;*
- კანცელარიისა და მოქალაქეთა მისაღები განყოფილების სპეციალისტი - *ანანო გოგოლაძე;*
- შრომითი ხელშეკრულებით მიღებული დამხმარე მოსამსახურე - *დიანა ბენაშვილი.*

2. *სპეციალისტი ნაფიც მსაჯულთა საორგანიზაციო საკითხებში - სერგო ლორთქიფანიძე* სასამართლო სხდომაზე სპეციალური კომპიუტერული პროგრამით შერჩეული, ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატთა პირადი ნომრების მიხედვით, საჯარო სამართლის იურიდიული პირის -საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ელექტრონულ ბაზაში დაცული მონაცემებიდან ადგენს კანდიდატთა სარგებლობაში არსებულ მობილური ტელეფონის ნომრებს. ამავე დროს, ელექტრონული პროგრამის მეშვეობით ადგენს საერთო სასამართლოების საქმისწარმოების ელექტრონულ პროგრამაში (court – case manegment system) იძებნება თუ არა ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატებზე პირადი ნომრით ან/და სახელით და გვარით რაიმე სახის ინფორმაცია;

3. *სასამართლოს მენეჯერი - გურამ კორკოტაშვილი* ვალდებულია ამ ბრძანების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პროცედურების განხორციელების შემდეგ მოახდინოს დამატებითი ინფორმაციების შემცველი სიის გადანაწილება საორგანიზაციო ჯგუფის წევრებზე თანაბარი რაოდენობით;

4. ბრძანების მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული პროცედურების პარალელურად *სპეციალისტი ნაფიც მსაჯულთა საორგანიზაციო საკითხებში - სერგო ლორთქიფანიძე* სხდომაზე შერჩეულ ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატთა სიას (Exel-ის ფორმატში, ბრძანების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოქმედებების შედეგად მიღებული დამატებითი ინფორმაციის შემცველი მონაცემების გარეშე) ელექტრონული ფორმით დაუყოვნებლივ უგზავნის სასამართლოს მენეჯერს - გურამ კორკოტაშვილს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს კუთვნილი ელექტრონული ბაზებიდან ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატთა მობილური ტელეფონის ნომრების გამოთხოვის მიზნით;

5. *სასამართლოს მენეჯერი - გურამ კორკოტაშვილი,* მიღებულ ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატთა სიას აარქივებს ელექტრონულად, რასაც ანიჭებს პაროლს და წერილობითი მიმართვის საფუძველზე (რომელსაც ხელს აწერს ელექტრონულად), სამსახურებრივი მეილით უგზავნის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს გარე მომხმარებლებთან ურთიერთობების მართვის სამსახურის უფროსს, რის შემდეგაც უკავშირდება ტელეფონით და აწვდის მიწოდებული გზავნილის გამხსნელ პაროლს;

6. *სასამართლოს მენეჯერი - გურამ კორკოტაშვილი* საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან პასუხის მიღებისთანავე ადგენს გზავნილის გამხსნელ პაროლს და ამოწმებს არის თუ არა მასში მოწოდებული ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატთა მობილური ტელეფონის ნომრები. გადამოწმების შემდეგ, მიღებულ სიას დაუყოვნებლივ ანაწილებს საორგანიზაციო ჯგუფის წევრებზე, რომლებსაც სიღრმისეული დამუშავებისთვის უკვე გადაცემული აქვთ ამ ბრძანების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული წესით მოპოვებული სია და ინფორმაციები;

7. *საორგანიზაციო ჯგუფის წევრები,* მათთვის დასამუშავებლად გადაცემული სიის მიწოდებისთანავე, ახდენენ ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატებთან სამსახურებრივი საკუმუნიკაციო საშუალება - „ზოიპერით“ ან IP ტელეფონით დაკავშირებას და იმის დადგენას, თუ სად მდებარეობს მსაჯულობის კანდიდატის ფაქტობრივი მისამართი ან/და სად უფრო მოსახერხებელია მისთვის გზავნილის (კითხვარისა და უწყების) ჩაბარება. საორგანიზაციო ჯგუფის წევრები ვალდებულნი არიან მათ მიერ განხორციელებული მოქმედებები და მონაცემები ასახონ ამავე ბრძანებით დამტკიცებულ დანართი №1-ში;

8. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია ამ ბრძანების მე-2 პუნქტით გათვალისწინებული წესით დადგენილ ტელეფონის ნომრებზე ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატთან დაკავშირება, *სპეციალისტი ნაფიც მსაჯულთა საორგანიზაციო საკითხებში - სერგო ლორთქიფანიძე* ახდენს სსიპ-საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ბაზებში დამატებითი ტელეფონის ნომრის მოძიებას და ასეთის აღმოჩენის შემთხვევაში, გადასცემს საორგანიზაციო ჯგუფის შესაბამის წევრს;

9. ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატთან, სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოდან და სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან მიღებულ ტელეფონის ნომერზე *დაკავშირების შეუძლებლობის ან ტელეფონის ნომრის არარსებობის შემთხვევაში, საორგანიზაციო ჯგუფის წევრი ვალდებულია* ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატზე ინფორმაცია მოიძიოს საქმისწარმოების ელექტრონულ პროგრამაში (court – case manegment system) ასეთის მინიშნების არსებობის შემთხვევაში, რაც უნდა ასახოს დანართი №1-ში;

10. *საორგანიზაციო ჯგუფის წევრები,* მათთვის დასამუშავებლად გადაცემული სიის შესაბამისად, პირადი ნომრის და დაბადების წლის მითითებით, ახდენენ ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატების მოძიებას ელექტრონულ მისამართზე: *www.reestri.court.ge*. *საორგანიზაციო ჯგუფის წევრები ვალდებულნი არიან ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატზე მოძიებული ინფორმაცია,* სადაც მითითებულია: კანდიდატის ფოტოსურათი; პირადი ნომერი; გვარი; სახელი; სქესი; დაბადების თარიღი; სტატუსი, ხომ არ არის გარდაცვლილი; აქტიური მისამართის წყარო; აქტიური რეგისტრაციის მისამართი და მისამართზე რეგისტრაციის სტატუსი, *როგორც ამობეჭდილი, ასევე ელექტრონული ვერსია, დანართ №1 - თან ერთად გადასცენ სპეციალისტს ნაფიც მსაჯულთა საორგანიზაციო საკითხებში - სერგო ლორთქიფანიძეს;*

11. *სპეციალისტი ნაფიც მსაჯულთა საორგანიზაციო საკითხებში - სერგო ლორთქიფანიძე* ახდენს მიღებული ინფორმაციის საფუძველზე (მისამართების და რაიონების მიხედვით) დოკუმენტების დაჯგუფებას და გზავნილს, დანართ №1 და www.reestri.court.ge - დან მიღებულ ინფორმაციასთან ერთად, ელექტრონულად უგზავნის შესაბამის რაიონულ/საქალაქო სასამართლოებს. ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატთან ტელეფონის ნომრით დაკავშირების ან სხვა დამატებითი ინფორმაციის მოძიების შეუძლებლობის შემთხვევაში, ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატისთვის გზავნილის გადაგზავნა ხდება სასამართლოსთვის კანდიდატის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით;

12. *საორგანიზაციო ჯგუფის წევრები ვალდებულნი არიან* ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატებთან კომუნიკაციასთან დაკავშირებული საკითხების დასრულების შემდგომ, თუ მათთვის მიწოდებული ინფორმაციით ირკვევა, რომ კანდიდატის თაობაზე ინფორმაცია იძებნება საქმისწარმოების ელექტრონულ პროგრამაში (court – case manegment system), მოახდინონ სიღრმისეული კვლევა, რათა დადგინდეს პროგრამაში არსებული მონაცემი ეკუთვნის თუ არა დანამდვილებით ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატს (სახელი გვარი, პირადი ნომერი, დაბადების: წელი, თვე რიცხვი, რეგისტრაციის მისამართი და ა.შ) და რა სტატუსით იძებნება. მოძიებული ინფორმაცია აისახება დანართ №2-ში. იმ შემთხვევაში, თუ საქმისწარმოების ელექტრონულ

პროგრამაში (court – case manegment system) არსებული მონაცემები დანამდვილებით ეკუთვნის ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატს, უნდა დადგინდეს რა სტატუსით ფიქსირდება საქმის წარმოების პროგრამაში და ამასთან დანართ №2-ს დაურთოს საქმეზე მიღებული შემაჯამებელი გადაწყვეტილების ან შესაბამისი დოკუმენტის *(გადაწყვეტილების, განჩინების, განაჩენის, დადგენილების, შუამდგომლობის, განცხადების ან სხვა საპროცესო დოკუმენტის) ასლი.* განსაკუთრებით საყურადღებოა, თუ კანდიდატი არის ბრალდებული, მსჯავრდებული, ადვოკატი, გამომძიებელი, პროკურორი, მოსამართლე, პოლიციელი, სამხედრო მოსამსახურე, ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევი, იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობის საჭიროების მქონე, მხარდაჭერის საჭიროების მქონე, უგზოუკლოდ დაკარგული ან გარდაცვლილად აღიარებული/ან ასაღიარებელი პირი. საორგანიზაციო ჯგუფის წევრები მიღებულ ინფორმაციას ასახავს დანართ №2-ში და საქმისწარმოების ელექტრონულ პროგრამიდან (court – case manegment system) ამოღებულ დოკუმენტაციას გადასცემს საქმის განმხილველი მოსამართლის აპარატს;

13. დამტკიცდეს დანართი №1 და დანართი №2 თანდართული სახით;

14. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „რუსთავის საქალაქო სასამართლოში განსახილველ საქმეებზე ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს ჩასატარებლად ორგანიზაციული საკითხების განსაზღვრის შესახებ“ რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის 2022 წლის 28 მარტის №212/თ ბრძანება;

15. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

16. ბრძანება გაეცნოს რუსთავის საქალაქო და გარდაბნის მაგისტრატი სასამართლოს ყველა თანამშრომელს.

მამია ფხაკაძე

რუსთავის საქალაქო სასამართლოს
თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

დანართი №1
დამტკიცებულია
რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის
2022 წლის „14“ ივლისის №407/თ ბრძანებით

ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატთან სატელეფონო კომუნიკაციის ამსახველი ოქმი

„_____“_____ 20___წელი, ქ. რუსთავი

რუსთავის საქალაქო სასამართლოს ნაფიც მსაჯულთა შერჩევის საორგანიზაციო ჯგუფის წევრმა _____ შევადგინე აღნიშნული ოქმი მასზედ, რომ ჩემი სამსახურებრივი საკომუნიკაციო საშუალებით დავუკავშირდი ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატს _____,

სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ბაზაში არსებულ ტელეფონის ნომერზე: 1. _____ ☐ მოქმედია; ☐ უმოქმედოა

2. _____ ☐ მოქმედია; ☐ უმოქმედოა

3. _____ ☐ მოქმედია; ☐ უმოქმედოა

4. _____ ☐ მოქმედია; ☐ უმოქმედოა

სსიპ საქართველოს სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ბაზაში არსებულ ტელეფონის ნომერზე: 1. _____ ☐ მოქმედია; ☐ უმოქმედოა

2. _____ ☐ მოქმედია; ☐ უმოქმედოა

3. _____ ☐ მოქმედია; ☐ უმოქმედოა

4. _____ ☐ მოქმედია; ☐ უმოქმედოა

საერთო სასამართლოების სისტემაში არსებული საქმის წარმოების ელექტრონულ პროგრამაში

არსებულ ტელეფონის ნომერზე: 1. _____ ☐ მოქმედია; ☐ უმოქმედოა

2. _____ ☐ მოქმედია; ☐ უმოქმედოა

კომინიკაციის შედეგი:

☐ შედგა კომუნიკაცია. ☐ ვერ მოხერხდა დაკავშირება.

კანდიდატმა განაცხადა, რომ მისთვის გზავნილის ჩაბარება სასურველია

_____

_____

_____

_____

(ამ გრაფაში დეტალურად აისახება ქალაქი, რაიონი, სოფელი, ქუჩა, სახლის, კორპუსის და ბინის ნომრები სადაც ფაქტობრივად ცხოვრობს კანდიდატი (ასევე ალტერნატიული მისამართი, ტელეფონის ნომერი) და დრო როცა უფრო ხელსაყრელია მასთან გზავნილის მიტანა)

აუდიო ჩანაწერი ინახება: „____“ სთ, „_____“ წთ. - დან - „____“ სთ, „_____“ წთ. - მდე
„____“ სთ, „_____“ წთ. - დან - „____“ სთ, „_____“ წთ. - მდე
„____“ სთ, „_____“ წთ. - დან - „____“ სთ, „_____“ წთ. - მდე

ოქმი შევადგინე: /_____/

დანართი №2
დამტკიცებულია
რუსთავის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარის
2022 წლის „14“ ივლისის №407/თ ბრძანებით

ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატის შესახებ საერთო სასამართლოების საქმის წარმოების ელექტრონულ პროგრამაში მოძიებული ინფორმაციის ამსახველი ოქმი

„_____“_____ 20___წელი, ქ. რუსთავი

რუსთავის საქალაქო სასამართლოს ნაფიც მსაჯულთა შერჩევის საორგანიზაციო ჯგუფის წევრმა _____ შევადგინე აღნიშნული ოქმი მასზედ, რომ ჩემი სამსახურებრივი კომპიუტერით მოვახდინე ნაფიცი მსაჯულობის კანდიდატი _____ის, შესახებ საქმის წარმოების ელექტრონულ პროგრამაში სიღრმისეული კვლევა.

კანდიდატის ემთხვევა: ☐ა) სახელი და გვარი;

☐ბ) სახელი, გვარი, დაბადების თარიღი;

☐გ) სახელი, გვარი, დაბადების თარიღი და პირადი ნომერი;

☐დ) გარდა სახელის და გვარისა სხვა არცერთი მონაცემი არ ემთხვევა.

კანდიდატი საქმის წარმოების პროგრამაში ფიგურირებს:

☐მოსარჩელე;☐მოპასუხე;☐მესამე პირი;☐ბრალდებული;☐მსჯავრდებული;☐გამართლებული; ☐ადვოკატი;☐პროკურორი;☐გამომძიებელი;☐პოლიციელი;☐სამხედრო მოსამსახურე;☐მოწმე; დაზარალებული;☐სამართალდამრღვევი;☐იძულებით მკურნალობაზე მოსათავსებელი პირი; ☐მხარდაჭერის მიმღები პირი;☐გარდაცვლილად ან უგზოუკლოდ დაკარგულად აღიარებული ან საღიარებელი პირი.

შენიშვნა: _____

ოქმს თან ერთვის პროგრამიდან ამოღებული დოკუმენტის (გადაწყვეტილების, განჩინების, განაჩენის, დადგენილების, შუამდგომლობის, განცხადების ან სხვა საპროცესო დოკუმენტის) ასლი „_____“ ფურცლად.

ოქმი შევადგინე: /_____/